

შპს კოლეჯი
სვალინდელი წარმატებისთვის

თბილისი, 0108 მარი ბროსეს ქ. 2
ელ.ფოსტა: osiashvili@aviationcts.ge
ს/კ 404506502
ტელ: +995 322 24 24 37



College for Tomorrow's Success, LTD

2 Marie Brosset Str, 0108, Tbilisi, Georgia
E-mail: osiashvili@aviationcts.ge
ID N 404506502
TEL: +995 322 24 24 37

დამტკიცებულია ბრძანება N7 3.08.2018
შეტანილია ცვლილება ბრძანება N11
11.09.2018

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

2018 წ.

შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებები

თავი II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

თავი III. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემა

თავი I. ზოგადი დებულებები

ეს წესი არეგულირებს შპს კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესს.

აღნიშნული წესი ეფუძნება “პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონს და ყველა იმ ნორმატიულ აქტებს, რომელიც გამოცემულია აღნიშნული კანონების შესაბამისად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების საფუძველზე.

თავი II. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

მუხლი 1. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ზოგადი პრინციპები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

- ეფუძნება და მკაფიოდ უკავშირდება შესაბამის სტანდარტს და ორიენტირებულია კვალიფიკაციის კონკრეტულ საჭიროებებზე.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის კომპეტენციებზე დაფუძნებული და აკმაყოფილებს კონკრეტული სფეროს დამსაქმებლების მიერ პროფესიულ სტანდარტში განსაზღვრულ მოთხოვნებს.
- პროგრამებში შემავალი მოდულები უზრუნველყოფს პროგრამების მოქნილობასა და სპეციალიზაციას.
- იყენებს სანდო, ვალიდურ, უტყუარ და ზუსტ შეფასებას;
- ხელს უწყობს დასაქმებას, დასაქმების ადგილზე პროფესიულ განვითარებასა და შემდგომ განათლებას.

- მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების სამართლებრივი საფუძველია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტები.
- მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დგება პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის განვითარების სამსახურის მიერ პროფესიულ მასწავლებლეთა ჩართულობით და მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და დანართების სახით ერთვის: მოდულები, სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი, პროგრამის სასწავლო გეგმა.
- მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა განისაზღვრება ზოგადი მოდულებით, საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულებით, სავალდებულო სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულებით და არჩევითი მოდულებით.
- ზოგადი მოდულები ემსახურება ზოგადი საკვანძო უნარების განვითარებას. ზოგადი საკვანძო კომპეტენციები მნიშვნელოვანია პირის პროფესიული განვითარებისათვის და ერთნაირად მოთხოვნილია, როგორც დამსაქმებლების მხრიდან, ასევე მნიშვნელოვანია პირის დასაქმების ან თვითდასაქმებისთვის, ცვალებად ტექნოლოგიებსა და წარმოების მეთოდებთან ადაპტირებისა და კარიერული წინსვლისთვის.
- მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებაზე და გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა კომპეტენციების განვითარებას უშუალოდ საწარმოში ან სახელოსნოში.
- თითოეული მოდულის კრედიტების მოცულობა განისაზღვრება მოდულის სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტისთვის საჭირო სასწავლო დატვირთვით, რომელიც ფორმალური განათლებისათვის განსაზღვრულია, როგორც 25 აკადემიური საათი = 1 კრედიტს.
- დაწესებულება პროგრამის შემუშავებისას არჩევს არჩევით მოდულებს შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით. არჩევითი მოდულები უნდა: ა) განავრცობდეს სავალდებულო მოდულების აქტივობებს სპეციალიზებულ კონტექსტში; და/ან ბ) უზრუნველყოფდეს დამატებითი უნარების შექმნას, ცოდნასა და გაცნობიერებას; და/ან გ) მოიცავდეს ახალ ასპექტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც დასაქმებისათვის, ასევე შემდგომი განვითარებისათვის.

მუხლი 3. სასწავლო პროცესის ორგანიზება

- სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის დაწესებულება შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმას.
- სასწავლო გეგმით პროგრამის შემადგენელი მოდულები შესაძლოა ისწავლებოდეს როგორც პარალელურ რეჟიმში, ისე კურსიული სისტემით (თანამიმდევრობით), ან ამ ორი პრინციპის კომბინაციით.

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის ერთ სასწავლო ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს.
- პროფესიული პედაგოგები ვალდებული არიან სწავლება და სტუდენტთა მიღწევების შეფასება განხორციელონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო გეგმებისა, მოდულებში გაწერილი შინაარსის, ასევე დაწესებულების სასწავლო პროცესის წარმართვისათვის დადგენილი ნორმატიული აქტების შესაბამისად.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია აწარმოოს სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა მიღწევის შეფასების პროცესის მუდმივი მონიტორინგი.

მუხლი 4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასა და სასწავლო პროცესის განხორციელებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების პროცესის მონიტორინგის ანალიზისა და შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე. აღნიშნულ ცვლილებებს პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

მუხლი 5. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

1. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შპს კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისათვის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
2. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

თავი III. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების სისტემა

მუხლი 6. შეფასების სისტემა კომპეტენციებზე დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში

1. შეფასების მიზანი

შეფასება არის პროფესიული სტუდენტის მიღწევების შესაბამისობის/ მიმართების დადგენა წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, კრიტერიუმებთან.

შეფასებისას მოწმდება შესაფასებელი პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობა, ანუ კომპეტენცია. კომპეტენციის შეფასებისას სტუდენტის შეფასება ხდება მოდულის სპეციფიკაციებში მოცემული შესრულების კრიტერიუმების თანახმად.

კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის:

- პროფესიული სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა –

დიაგნოსტიკური შეფასება;

- უკუკავშირის მეშვეობით პროფესიული სტუდენტისთვის შემდგომი სწავლის დაგეგმვის ხელშეწყობა;
- ინდივიდუალური მიღწევების შეფასება;
- პროფესიული სტუდენტის დახმარება შემდგომი კარიერული ზრდის დაგეგმვაში;
- შემდგომი სწავლისა და პროფესიული განვითარების მიზნით პროფესიული სტუდენტის ინფორმაციით უზრუნველყოფა;
- კვალიფიკაციის მინიჭება;
- დამსაქმებლებისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- სწავლის პროცესის მონიტორინგი;
- სტუდენტის კომპეტენციების აღიარება საერთაშორისო დონეზე.

2. შეფასების ტიპები

პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების შეფასება წარმოებს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებების გამოყენებით.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება პროგრამის შემადგენელ მოდულებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვების მიდგომებისა და სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების საფუძველზე.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

3. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეფასების პრინციპები და მნიშვნელოვანი თავისებურებები:

შეფასების პრინციპები

- ვალიდობა
- სანდობა
- მოქნილობა
- სიმარტივე
- თანასწორობა და სამართლიანობა

მოდულური პროგრამის გავლის დასადასტურებლად დადებითად უნდა შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული;

მოდულის ფარგლებში დადებითად უნდა შეფასდეს მოდულის შესაბამისი ყველა სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი;

სწავლის შედეგის დადებითად დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს არ მოეთხოვება ამავე სწავლის შედეგის ხელახალი დადასტურება;

შესაძლოა რამოდენიმე სწავლის შედეგის ერთად შეფასება;

4. შეფასების ინსტრუმენტის ფორმის ნიმუშები

1). შეფასების ინსტრუმენტის ზოგადი აღწერა

1.	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:	
2.	პროგრამის დასახელება:	
3.	მოდულის დასახელება:	
4.	სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმი:	
5.	შეფასების მიმართულება და შეფასების ინსტრუმენტი:	
6.	დავალების აღწერა:	
7.	მტკიცებულება:	
8.	შესრულების კრიტერიუმის /სწავლის შედეგის დადასტურება:	
9.	განმეორებითი შეფასების პირობები	
10.	შეფასების ინსტრუმენტის ავტორი/ავტორები:	

2) შეფასების ფურცელი (ჩეკ-ლისტი)

შესაფასებელი პირი(სახელი, გვარი)	თარიღი	
<p>დავლების აღწერა დავლების შესრულების ინსტრუქცია</p>		
დავლების შეფასების კრიტერიუმი	შეფასება	
	დიახ	არა
1.		
2.		
3.		
4.		
5.		
6.		
სწავლის შედეგი / შესრულების კრიტერიუმი დადასტურდა		
შემფასებელი:		

3) შესრულების კრიტერიუმის /სწავლის შედეგის დადასტურება:

შესაფასებელი პირი(სახელი, გვარი)	თარიღი	

სწავლის შედეგი / შესრულების კრიტერიუმები	სწავლის შედეგი / შესრულების კრიტერიუმი დადასტურდა	
სწავლის შედეგი 1 შესრულების კრიტერიუმი 1,2,3	დიახ	არა
სწავლის შედეგი 2 შესრულების კრიტერიუმი 2,3	დიახ	არა

